ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31222722**
თარიღი: **29/09/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

სხდომის ოქმი N 9

ქ. ლანჩხუთი

26.09.2022 წელი

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე: **კახაბერ ასკურავა.**

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: **გიორგი გოგუაძე.**

ფრაქციის მდივანი: **ირმა მგელაძე.**

ფრაქციის წევრი: **გივი ცინცაძე.**

სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე: **ეკატერინე გუჯაბიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი: **თამარ ფირცხალაიშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი: **ირაკლი ხუხუნაიშვილი,** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ნინო ჭანტურიშვილი.**

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

2 „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

3.„ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი"-ს (ს/კ: 233733984) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

4.სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა", რომლის ბიუჯეტი 51600 ლარი და „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა". პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 40000 ლარს. ადრეული განვითარების პროგრამის ტრანსპორტირებისთვის ვალდებულება აღებულია 6000 ლარზე, რეაბილიტაცია/აბილიტაციის ტრანსპორტირებისთვის გახარჯულია 24230 ლარი და დარჩენილია 9770 ლარი. მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახურის მიერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია ქ. ლანჩხუთში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების რაოდენობის შესახებ, რომლებიც საჭიროებენ „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით" და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით სარგებლობას. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით 1 ბავშვი საჭიროებს „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით" სარგებლობას. ხოლო 3 აღსაზრდელი „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამით სარგებლობას. ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობას." მან

აღნიშნა, რომ ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიძებნოს ფინანსური რესურსი სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვებისთვის მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. საჭიროა ზემოაღნიშნულ ორივე პროგრამაში, როგორც პროგრამულ ბიუჯეტში, ასევე სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესში მიეთითოს შენიშვნის სახით ქ. ლანჩხუთში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებზე არ გავრცელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ვალდებულების ჩანაწერი. „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ სარგებლობისთვის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების მობილიზება საჭირო არ იქნება და იგი განხორციელდება არსებული რესურსის ფარგლებში. ხოლო 3 ბავშვის ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსებისთვის „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამაში საჭირო იქნება დამატებით ბიუჯეტში 3000 ლარის დამატება. დღეის მდგომარეობით ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 21- მდე გაიზარდა რის გამოც წლის ბოლომდე პროგრამაში საჭირო იქნება დაახლოებით 10000 (ათიათასი)ლარის დამატება პლუს 3000 ლარის სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირებისათვის. ჯამში „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამაში 13000 ლარის დამატება იქნება საჭირო.

ირმა მგელაძემ აღნიშნა, რომ მას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის აღნიშნული საკითხის განხორციელებაში და მოხარულია, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვი, რომელიც წლების განმავლობაში ვერ სარგებლობდა შესაბამისი სერვისით, მიიღებს ზემოაღნიშნულ მომსახურებას.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ისაუბრა მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა, **ირაკლი ხუხუნაიშვილმა,** რომელმაც განმარტა, რომ , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს მომართა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი დუგლაძემ 2022 წლის 7 სექტემბრის N5/50425 წერილით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის: სოფელ სუფსაში მდებარე 204.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული 74.72 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.15.52.662), სოფელ აკეთში მდებარე 377.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა ნაგებობა (ს/კ 27.03.43.361) და ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 1222.0 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 104.48 კვ.მ შენობა ნაგებობა ს/კ 27.14.48.008) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. შემდგომში სახელმწიფოს მიერ, აღნიშნული ქონების ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში

გადაცემის მიზნით, სადაც მოხდება ,,სოფლის ექიმის'' კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი"-ს (ს/კ: 233733984) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერის პირველმა მოადგილემ, **ეკატერინე გუჯაბიძემ,** რომელმაც განმარტა, რომ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შემდეგ გაცემულ რეკომენდაციებში ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო მერიის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობის სფეროებს შორის ფუნქციათა გაორების აღმოფხვრა. აუდიტის ანგარიშში პირდაპირ დასახელდა „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი", რომლის საქმიანობის საგანიც ქმნიდა ფუნქციათა გაორების შთაბეჭდილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის პოზიციაა განხორციელდეს ხსენებული იურიდიული პირის ლიკვიდაცია. მან აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ აუდიტის დასკვნაში არის ძალიან ბევრი რამ გასათვალისწინებელი და თუ არ გაგრძელდება კონკრეტული მითითებების შესრულება, ის ჩათვლის, რომ ეს ყველაფერი ხდება პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

ეკა გუჯაბიძე დაეთანხმა ფრაქციის თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ აუცილებლად მოყვება აღნიშნულ საკითხს გაგრძელება, რადგანაც სხვა ა(ა)იპ-ებთან მიმართებაშიც არის გარკვეული რეკომენდაციები.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, როცა რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ოფიციალური წერილი გაიგზავნა, მუნიციპალიტეტის მერმა იცოდა თუ არა, რომ ეს სამსახური უნდა წასულიყო ლიკვიდაციაზე, რაზეც ეკატერინე გუჯაბიძემ უპასუხა, რომ წინასწარ მერმა ეს არ იცოდა.

გიორგი გოგუაძემ ასევე აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, აღნიშნული სამსახურიდან გარკვეული პიროვნებები პრეტენზიას გამოთქვამენ და მიდის ბრძოლა თანამდებობებზე, რაზეც ეკა გუჯაბიძემ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ რამდენადაც მისთვის არის ცნობილი, თანამშრომლები მხარს უჭერენ სამსახურის გაუქმებას. მან ასევე აღნიშნა, რომ როგორც მთელს ქვეყანაში, ასევე ლანჩხუთის რაიონშიც ტურისტული მიმართულება საკმაოდ აქტუალურია და ამიტომ, შეიძლება შეიქმნას დაახლოებით 10-15 კაციანი სამუშაო ჯგუფი, რომელიც კონკრეტულად ამ მიმართულებით იმუშავებს.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა საკითხები.

კახაბერ ასკურავას აინტერესებს ბოლო 5 წლის განმავლობაში ევრო-კავშირისა და იუსაიდის მიერ დაფინანსებული პროგრამების ზუსტი ჩამონათვალი 2017 წლიდან დღემდე. მას ასევე აინტერესებს, ინფრასტრუქტურულ პროექტებში რამდენი ლარი დაიხარჯა ბოლო 5 წლის განმავლობაში, კერძოდ, წყალზე, გაზზე, ასევე შიდა გზებზე, სანიაღვრე არხებსა და ნაპირსამაგრ სამუშაოებზე.

ფრაქციის თავმჯდომარე, კახაბერ ასკურავა უკმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ როდესაც იუსაიდის ხელმძღვანელი იყო სოფელ ჩიბათში ჩამოსული, შეხვედრაზე მიწვეული იყო ბევრი ადამიანი, სადაც ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ დაპატიჟეს. ის მოითხოვს ყველა მსგავს ღონისძიებაძე დასწრებას, რაც გაიმართება მუნიციპალიტეტში. მან ასევე აღნიშნა, რომ მოსახლეობა არ არის ინფორმირებული ასეთ საკითხებთან დაკავშირებით და აუცილებელია მსგავსი საკითხების საინფორმაციო უზრუნველყოფა. კახაბერ ასკურავა ასევე საჭიროდ მიიჩნევს, რომ მოსახლეობამ იცოდეს, რა თანხა იხარჯება სხვადასხვა პროექტებში და ამბობს, რომ არ დაუშვებს, რომელიმე დეპუტატმა თავისად მიიწეროს სხვისი გაკეთებული საქმე.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, თუ რამდენი ადამიანია დასაქმებული ლანჩხუთის რაიონში პრემიერის ინიციატივით განხორციელებული პროგრამის ფარგლებში, რაც გულისხმობს 300 000 სოციალურად დაუცველი ადამიანის დასაქმებას, რაზეც ეკა გუჯაბიძემ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ 500-ზე მეტი ადამიანია ჩართული ამ პროგრამაში, თუმცა ეს რიცხვი ხშირად იცვლება, რადგანაც არიან ადამიანები, რომლებიც არ ასრულებენ სამუშაოს და თუ ეს გაგრძელდა ორი თვის განმავლობაში, მესამე თვეს უკვე წყდება ხელშეკრულება. მან ასევე აღნიშნა, რომ სამუშაოზე გამოცხადების მონიტორინგს ახორციელებს სოფლის წარმომადგენლები.

ირმა მგელაძემ დასვა შეკითხვა, შეუძინეს თუ არა რაიმე ინვენტარი დასაქმებულებს, რაზეც ეკა გუჯაბიძემ უპასუხა, რომ მიიღეს მცირე რაოდენობით ურიკები, ხელთათმანები, ჩაქუჩები, სპეციალური ტანსაცმელი, რაც მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაეცა თითოეულ წარმომადგენელს.

ირმა მგელაძე დაინტერესდა, თუ როდის დასრულდება რეორგანიზაცია, რომელიც თითქმის ერთი წელია მიმდინარეობს, რაზეც ეკატერინე გუჯაბიძემ უპასუხა, რომ სექტემბრის ბოლოს რეორგანიზაცია უნდა დასრულდეს. მან ასევე აღნიშნა, რომ არც ერთ სამსახურში რეორგანიზაცია ხელმძღვანელის გარეშე არ განხორციელებულა.

ირმა მგელაძემ დააყენა საკითხი, რომ შიდა მოხმარებისთვის შეიქმნას მერიის გვერდი და ყოველდღიურ რეჟიმში მოსახლეობას მიეწოდოს ინფორმაცია თუ რა კეთდება მუნიციპალიტეტში, სადაც ასევე იქნება შესაძლებლობა მოსახლეობამ დაწეროს შენიშვნებიც და მოთხოვნებიც.

გივი ცინცაძემ დასვა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ გაკეთებული ფასადების უკან თუ იცის მერის მოადგილემ რა სიტუაციაა, რაზეც ეკა გუჯაბიძემ უპასუხა, რომ ინფრასტრუქტურული მიმართულება მას არ ეხება და არ არის კომპეტენტური ამ საკითხში. მან აღნიშნა, რომ ეს არის პრემიერის ინიციატივით გაკეთებული და არც ერთი თეთრი ბიუჯეტიდან არ დახარჯულა ქალაქის იერსახის მოწესრიგებაში.

კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ მას არ მოსწონს ჭიშკრების შეღებვის იდეა, სადაც უნდა დასაქმდნენ სოციალურად დაუცველები, რაზეც ეკა გუჯაბიძემ გააკეთა განმარტება, რომ ამ პროგრამის მიზანია ადამიანები შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და შრომისუნარიანები გახდნენ.

კახაბერ ასკურავამ დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებლად

მოსაწესრიგებელია სასულიერო გიმნაზიის ფასადი, რასაც მერის მოადგილეც დაეთანხმა.

ირმა მგელაძემ აღნიშნა, რომ სოფელ ჯურუყვეთის სკოლაში, რომელიც ექვემდებარება რეაბილიტაციას, ბავშვები იჩაგრებიან, ამიტომ შეიძლებოდა ზაფხულში დაწყებულიყო აღნიშნული სამუშაოები.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

კახაბერ ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-
საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"თავმჯდომარე